საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

6252-15-7-2-201906051139

N 15-7/6252
05/06/2019

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

მსჯავრდებულ გ[redacted] მ[redacted] კუთვნილი ნივთების სავარაუდო დაკარგვის ფაქტზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული რეაგირების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო თეა,

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა, 2019 წლის 30 იანვარს, მოინახულა N6 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული გ[redacted] მ[redacted]. შეხვედრისას მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ 2018 წლის 18 დეკემბერს, N8 პენიტენციური დაწესებულებიდან გადმოყვანისას, არ გადასცემია კუთვნილი ნივთები - ქამარი, ქურთუკი და ფეხსაცმლის შესაკრავი თასმები. მსჯავრდებული ითხოვდა აღნიშნული ნივთების ადგილსამყოფელის გარკვევას, მათ მიწოდებას ან N6 დაწესებულებაში სათანადო წესით შენახვას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2019 წლის 31 იანვარს N15-7/1259 წერილით მიმართა N6 დაწესებულების დირექტორს და მოითხოვა ინფორმაციის წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, გადმოგზავნილ იქნა თუ არა N8 პენიტენციური დაწესებულებიდან N6 დაწესებულებაში მსჯავრდებულ გოგა მ[redacted] კ[redacted] ნივთები.

N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 7 თებერვლის N30817/23 წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ მსჯავრდებულ გ[redacted] მ[redacted] N6 პენიტენციურ დაწესებულებაში შემოყვანისას, გადაეცა ყველა ის კუთვნილი ნივთი, რომლებიც ნებადართულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N108 ბრძანებით დამტკიცებული N6 პენიტენციური დაწესებულების დანართების თანახმად. ხოლო,

საქართველო, თბილისი 0112, დავით აღმაშენებლის გამზირი #150, ტელ.: (+995 32) 2234499;
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
150 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0112, Georgia, Tel.: (+995 32) 2234499;
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

ქამარი, ქურთუკი და ფეხსაცმლის შესაკრავი თასმები მსჯავრდებულ გ[redacted] მ[redacted] დაწესებულებაში შემოყვანისას თან არ ჰქონია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2019 წლის 14 მარტის N15-7/2990 წერილით მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულების დირექტორს და მოითხოვა ინფორმაციის წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, 2018 წლის 18 დეკემბერს, მსჯავრდებულ გ[redacted] მ[redacted] N8 დაწესებულებიდან N6 დაწესებულებაში გადაყვანისას, გადაიგზავნა თუ არა N8 პენიტენციური დაწესებულებიდან N6 დაწესებულებაში მსჯავრდებულის კუთვნილი ნივთები, კერძოდ, ქამარი, ქურთუკი და ფეხსაცმლის შესაკრავი თასმები.

N8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 25 მარტის N87545/25 წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ მსჯავრდებულ გ[redacted] მ[redacted] N6 დაწესებულებაში გადაეგზავნა ყველა ის პირადი ნივთი - ქურთუკი (შავი ფერის), ქამარი და თასმა (ერთი წყვილი), - რომელიც ინახებოდა N8 პენიტენციურ დაწესებულებაში. შესაბამისად, აღნიშნული წერილობითი პასუხით **N8 პენიტენციურმა დაწესებულებამ დაადასტურა, რომ მსჯავრდებულ გ[redacted] მ[redacted] საკუთრებაში ნამდვილად ჰქონდა ზემოთ დასახელებული ნივთები.**

<u>სამართლებრივი დასაბუთება:</u>

მოგეხსენებათ, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, თან იქონიოს შესაბამის დაწესებულებაში ნებადართული ნივთები[1]. თუმცა, „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N108 ბრძანების დანართი N2-ით[2] გათვალისწინებულ ჩამონათვალში არ ფიქსირდება ქამარი და ფეხსაცმლის ზონრები, როგორც ნებადართული ნივთები, ხოლო ქურთუკი ნებადართულია მხოლოდ სარჩულის გარეშე (ყველა სახის ქურქის, „დუტის" და ტყავის გარდა), არაუმეტეს 1 ცალისა.

ამასთან, ამავე ბრძანების მე-16 მუხლის მე-17 პუნქტის თანახმად, ნივთები, ნაკეთობები, ნივთიერებები, დოკუმენტები და საკვები პროდუქტები, რომელთა ყიდვა და გამოყენება ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისათვის აკრძალულია, აგრეთვე, რომლებიც არ არის გათვალისწინებული იმ ნივთებისა და საგნების ჩამონათვალში, რომელთა ქონის, ამანათებით მიღებისა და მაღაზიაში შეძენის უფლება აქვს ბრალდებულს/მსჯავრდებულს, პატიმარს ჩამოერთმევა დადგენილი წესით და შესანახად გადაეცემა დაწესებულებას ან ბრალდებულის/მსჯავრდებულის ნებართვით პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ პირებს.[3] ამის თაობაზე დგება შესაბამისი აქტი, რომელსაც ეცნობა ბრალდებული/მსჯავრდებული და ადასტურებს ხელმოწერით.

---

[1] „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N149 ბრძანების 79-ე მუხლის „დ" პუნქტი.

[2] ჩამონათვალი იმ პირველადი მოხმარების საგნების, ჰიგიენური საშუალებების, კვების პროდუქტებისა და სხვა ნივთებისა და საგნებისა, რომლებიც ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ამანათის სახით მიიღოს, შეინახოს და გამოიყენოს კანონიერად.

[3] შვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილებელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობელი, გერი, ნაშვილები და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი

დამატებით აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით[4] განსაზღვრავს პატიმრის საკუთრებაში არსებული ნივთების საკითხებს, კერძოდ, ხსენებული რეკომენდაციის 31.1. პუნქტის თანახმად, პატიმრის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ნივთი, რომელიც აკრძალულია ციხის შიდა წესებით, შენახული უნდა იქნას პატიმრის დაწესებულებაში მიღებისას. ხოლო, 31.3. პუნქტის თანახმად, აღნიშნული საკუთრების კარგ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად უნდა გატარდეს ზომები. ამავე რეკომენდაციის 31.4. პუნქტის თანახმად, თუ საჭიროდ იქნა ცნობილი ასეთი საკუთრების განადგურება, აღნიშნული უნდა დაფიქსირდეს და პატიმარს ეცნობოს ამის შესახებ. მსჯავრდებულის საკუთრებაში არსებული ნივთებთან დაკავშირებული რეგულაციები მოცემულია გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების (ე.წ. მანდელას წესების) 67-ე წესშიც[5].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის გადაყვანისას, გადატანილი უნდა იქნას, ასევე, პატიმრის კუთვნილი ნივთები და გადაეცეს პატიმარს კანონით დადგენილი წესით. ისეთი ნივთები კი რომელთა ფლობა აკრძალულია კონკრეტული პენიტენციური დაწესებულების დებულებით, დაცული უნდა იყოს დაკარგვისა ან დაზიანებისგან.

დასკვნა:

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის N8 და N6 პენიტენციური დაწესებულებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, გაურკვეველია მსჯავრდებულ გ[redacted] მ[redacted] პირადი ნივთების ადგილსამყოფელი, საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ[redacted] მ[redacted] პირადი ნივთების სავარაუდო დაკარგვის ფაქტთან დაკავშირებით, უნდა განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ წინადადებით, გამოკვლეულ იქნას მსჯავრდებულ გ[redacted] მ[redacted] პირადი ნივთების, კერძოდ, ქამრის, ქურთუკისა და ფეხსაცმლის შესაკრავი თასმების სავარაუდო დაკარგვის ფაქტთან დაკავშირებული ყველა გარემოება და მიღებულ იქნას დისციპლინური ზომები პენიტენციური სისტემის შესაბამისი თანამშრომლის/თანამშრომლების მიმართ, რომლებმაც, სავარაუდოდ ვერ უზრუნველყვეს მსჯავრდებულის საკუთრებაში არსებული ნივთების სათანადო წესით მიწოდება და შენახვა.

მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, გთხოვთ, მაცნობოთ კანონით დადგენილ ვადაში.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

შვილები, ბებია, პაპა, ბებიის დედ-მამა, პაპის დედ-მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, აგრეთვე პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში.

[4] < https://pjp-eu.coe.int/documents/3983922/6970334/CMRec+(2006)+2+on+the+European+Prison+Rules.pdf/e0c900b9-92cd-4dbc-b23e-d662a94f3a96 >

[5]< https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/1957/06/ENG.pdf >

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი